სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი
"20" 03 2013 წელი

ეგზ. N2

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"
ფინანსური ანგარიშგება N 14/00
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა 3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 7
ფორმა N1 - ბალანსი 8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 9
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ 10
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 11
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ 12
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 13
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 14
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 15

1. ზოგადი ინფორმაცია 15
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 15
3. სავალუტო ანგარიში ბანკში 16
4. მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 16
5. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 17

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდგომში ,,ბიურო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციებს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციებს, წმინდა ღირებულებას, ფულად გრანტებს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბიუროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუმცა, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2008 წლის თემატური აუდიტის შედეგების გათვალისწინება

2008 წლის 14 მარტის №20/01-76 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი დანაკლისი - 1,439 ლარის ძირითადი აქტივებისა და 329 ლარის მატერიალური მარაგების სახით, არ ასახულა ფინანსურ ანგარიშგებაში №1422 საბალანსო ანგარიშზე - ,,მოთხოვნები დანაკლისებით“.

საწყისი ნაშთები

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიუროს არ ჩაუტარებია არაფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია. "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით[1], ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ინვენტარიზაციის ყოველწლიურად ჩატარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული, ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საბალანსო მუხლების საწყისი ნაშთები არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები. აღნიშნული ბანკებისგან მიღებული დასტურის წერილების საფუძველზე ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსერები არსებითი უზუსტობების გარეშე არის ასახული ბალანსში.

---

[1] 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

ინვენტარიზაცია

ბიუროში 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია. "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ინვენტარიზაციის ყოველწლიურად ჩატარება.

ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების აღრიცხვის სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 83,682 ლარის ღირებულებით. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და სხვა ძირითადი აქტივების ღირებულებების აღრიცხვის სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 5,257,425 ლარის საერთო ღირებულებით.

აღნიშნული საკითხების გამო, ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სხვა მატერიალურ მარაგებთან, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტართან, სხვა ძირითადი აქტივებთან დაკავშირებით, აგრეთვე ფორმა N1-ის ფორმა N2-ის, ფორმა N3-ის, ფორმა N4-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

უზუსტოდ/არასრულად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2009 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ბიუროს არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენილი ფორმა N1, ფორმა N4 და ფორმა N5, კერძოდ:

ა) ფორმა N1

ფორმა N1-ში წმინდა ღირებულების N5100 ანგარიშზე 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ასახულია 11,010,037 ლარის ნაშთი, ხოლო ამავე თარიღისთვის ფორმა N3-ში წმინდა ღირებულების ნაშთი 10,495,503 ლარია, სხვაობა შეადგენს 514,534 ლარს. სხვაობის მიზეზს წარმოადგენს, ხარჯების არასწორი კლასიფიცირება, კერძოდ კი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრებისა და საბიუჯეტო სახსრების გამოყენებისას არასწორად შესრულებული ბუღალტრული გატარებები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ფორმა N1-ში წმინდა ღირებულების N5100 ანგარიშის 514,534 ლარით არამართებულად შემცირება, ხოლო გაუნაწილებელი მოგების N5120 ანგარიშის ამავე თანხით არამართებული ზრდა.

ბ) ფორმა N4

- ფაქტიური ხარჯების სვეტში შრომის ანაზღაურება შეადგენს 590,957 ლარს. აღნიშნული თანხა 332,127 ლარით ნაკლებია ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახულ სწორ მონაცემბზე, სადაც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრებით დაფინანსებული შრომის ანაზღაურების ფაქტიური ხარჯი 923,084 ლარია;
- ძირითადი კაპიტალის მოხმარების ველში არ არის ასახული შენობა-ნაგებობების ცვეთის თანხა 179,630 ლარის ოდენობით. ;
- ფაქტიური ხარჯების სვეტში შევსებულია არაფინანსური აქტივებისა და ბიუჯეტში გადახდილი თანხების ველები, რის შევსებასაც არ ითხოვს აღნიშნული ფორმა. ასევე, ჯამურ ველებში დაშვებულია არითმეტიკული შეცდომები.

აღნიშნული უზუსტობები ფორმა N4-ის დონეზე ყოვლისმომცველია და შესაბამისად, არსებითად უზუსტო ინფორმაციას იძლევა ბიუროს მიერ სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით.

გ) ფორმა N5

- მანქანა-დანადგარების ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 1,584,985 ლარით, რაც ფორმა N1-ში წარმოდგენილ შესაბამის სწორ ნაშთს 105,803 ლარით აღემატება. ასევე, სხვა ძირითადი აქტივების ნაშთი, რაც შეადგენს 3,672,440 ლარს, 105,803 ლარით ნაკლებია ფორმა N1-ში წარმოდგენილ შესაბამის ნაშთზე;
- ძირითადი აქტივების ჯამურ ველში ასახულია საბოლოო ნაშთი 10,616,786 ლარის ოდენობით, რაც არ შეესაბამება ფორმა N1-ში წარმოდგენილ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში ფორმა N5-ში დაშვებულია არითმეტიკული შეცდომა.

არაფინანსური აქტივები

- ბიუროს მიერ 2009 წელს შეძენილია და ძირითად აქტივად აღიარებულია 42,8 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული მასალების ღირებულება უნდა ასახულიყო ხარჯებში, რადგან არ კმაყოფილდება ძირითად აქტივად აღიარების ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანებით.

- 2009 წელს ბიუროსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილია 9,000 ლარის საერთო ღირებულების ისეთი აქტივები, რომლებიც არაფინანსურ აქტივებს არ განეკუთვნებიან და რომელთა შეძენა უნდა განხორციელებულიყო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, სუბსიდიების მუხლიდან. აღნიშნული ფაქტი იწვევს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან შეუსაბამობას. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაში 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები 9,000 ლარით გაზრდილად - , ხოლო ხარჯები ამავე თანხით შემცირებულად იქნა წარმოდგენილი;

- ფორმა N2-ის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 507,428 ლარი. თუმცა, ბუღალტრულ ჩანაწერებში აღნიშნული აქტივების ღირებულება ასახულია 418,738 ლარით.

  აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2009 წელს, აღნიშნული ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარებისას ბიურომ შეძენილი აქტივების დღგ-ის თანხა ჩაითვალა და შესაბამისად, არ შეიყვანა ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა, რომ შესყიდული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოყენებული იქნა მხოლოდ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, რაც საფუძველი იქნებოდა დღგ-ის სრული ჩათვლისათვის. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ არაფინანსური აქტივებისა და დღგ-ის ნაშთები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, რაც შესაძლოა გამოწვეულიყო აღნიშნული გარემოებით. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ბიურომ დააკორექტირა დღგ-ის დეკლარაციები, მათ შორის ზემოთ ხსენებულ ოპერაციასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ, თუმცა, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბუღალტრულ ჩანაწერებში შესწორება არ იქნა შესაბამისად ასახული.

ხარჯების აღრიცხვა

- ბიურომ 32,765 ლარის საერთო ღირებულების ინვენტარი აღრიცხა ხარჯებში, საიდანაც 7,568 ლარის ღირებულების ავეჯი (10 ცალი ინტეგრირებული კარადა და 3 სამედიცინო კარადა) აკმაყოფილებდა ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შედეგად, 2009 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები 7,568 ლარითაა გაზრდილი, ხოლო ამავე თანხითაა შემცირებული ძირითადი საშუალებების ანგარიშის ნაშთი.

- 2008 წელს გაწეული 61,889 ლარის ოდენობის ხარჯი არამართებულად დარიცხულია 2009 წლის საანგარიშო პერიოდში. იგი მოიცავს: ქონების გადასახადს 42,383 ლარის ოდენობით და სხვადასხვა ხარჯს 19,506 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2010 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2009 წელს გაწეული მივლინების, კომუნალური, კავშირგაბმულობის და დაცვის ხარჯების ნაწილი, სულ 16,000 ლარის ოდენობით. შედეგად, 2009 წლის ფინანასურ ანგარიშგებაში ხარჯები გაზრდილია 2,571 ლარით.

დებიტორული დავალიანებები

2008 წლის განმავლობაში დაიფარა 53,082 ლარის დებიტორული დავალიანება. გამომდინარე იქიდან, რომ გადახდის დოკუმენტებში არ იყო მითითებული კონკრეტული დებიტორის დასახელება, ბუღალტერულ აღრიცხვაში თანხის მიღება ნაცვლად დებიტორულ დავალიანებასთან კორესპონდენციისა, გატარადა შემოსავლების ანაგრიშზე. შედეგად, 2008 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილად იქნა წარმოდგენილი როგორც დებიტორული დავალიანების ნაშთი, ასევე შემოსავლების ანგარიში. 2009 წლის განმავლობაში მოხდა იმ დებიტორების იდენტიფიცირება, რომელთაც ჰქონდათ დაფარული აღნიშნული 53,082 ლარის დავალიანება, რაც დაკორექტირდა დებიტორული დავალიანების გაუნაწილებელი მოგების ანგარიშთან კორესპონდენციით.

გადასახადებთან დაკავშირებული მუხლები

ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, საგადასახადო დეკლარაციებთან შედარებით ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული გადასახდელი დღგ-ის მუხლი ნაკლებია 21,590 ლარით, ჩასათვლელი დღგ-ის მუხლი მეტია 83,767 ლარით, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მუხლი მეტია 37,775 ლარით. აღნიშნული უზუსტობების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბიურომ 2011 და 2012 წლებში დააზუსტა წინა საანგარიშო პერიოდების დეკლარაციები და შესაბამისი კორექტირებები ბუღალტრულ ჩანაწერებში იმ საანგარიშო წლებში გაატარა, როდესაც მოხდა დეკლარაციების დაზუსტება.

- მნიშვნელოვანი სხვაობებია სხვა გადასახადების აღრიცხვის შემთხვევებშიც. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროს არ აქვს გამიჯნული საბიუჯეტო სახსრებითა და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შეძენილი არაფინანსური აქტივების თანხები, შეუძლებელია ქონების გადასახადის ზუსტი გაანგარიშება.

ამ აბზაცში წარმოდგენილი საკითხებისა და ზემოთ განხილული სხვა უზუსტობების საგადასახადო ეფექტის დადგენის შესასაძლებლობის არქონის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების სისწორესა და სისრულეში.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქონების გადმოცემასთან დაკავშირებული ოპერაციების არასრულყოფილად შესრულება

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა მიუხედავად, 2009 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი (მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბალანსზე რიცხული) ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის[2].

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებება

2009 წელს ჩატარდა ტენდერი სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ''ტრადა", რომელთანაც 2009 წლის 19 ნოემბერს გაფორმდა 52,977 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

სატენდერო კომისიის 2009 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმის მიხედვით, დისკვალიფიცირებული იქნა პრეტენდენტი შპს"ჯეოგრუპ XXI'', რომლის სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 38,450 ლარს. დისკვალიფიკაციის მიზეზად დასახელდა პრედენდენტის მიერ სატენდერო წინადადების მხოლოდ ერთი ეგზემპლარის წარმოდგენა.

თუმცა, ამავე კომისიას არ აქვს შესაბამისი ზომები მიღებული ტენდერის საბოლოო გამარჯვებულის, შპს ,,ტრადას" (სატენდერო წინადადება-52,977 ლარი) მიმართ საჯარო რეესტრიდან ცნობის წარმოუდგენლობის გამო. ასევე, შპს ''ტრადა"-ს მიერ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ აღნიშნული კომპანიის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რაც იწვევს ტენდერის პირობებთან შეუსაბამობას. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუროს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო წარმოედგინა შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2009 წელს ჩატარებულ ტენდერში, რომელშიც გაიმარჯვა შპს ,,ფუნდამშენმა" (ხელშეკრულება #191, 25.06.2009წ, 327,903 ლარი), ხელშეკრულებაში თანდართული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთი და იგივე სამუშაო მეორდება სხვადასხვა ფორმა 2-ში. კერძოდ:

- 24/08/2009 წლის ფორმა N2-ში ნაჩვენებია 5,361 ლარის ღირებულების სამუშაო N15-55, რომელიც გამეორებულია 25/09/09 წლის ფორმა N2-ში, იგივე თანხითა და პოზიციით.
- 24/08/2009 წლის ფორმა N2-ში წარმოდგენილია 1,120 ლარის ღირებულების სამუშაო N15-51, რომელიც გამეორებულია 23/07/09 წლის ფორმა N2-ში, იგივე თანხითა და პოზიციით.
- 24/08/2009 წლის ფორმა N2-ში ნაჩვენებია 2,240 ლარის ღირებულლების N11-8 სამუშაოს შესრულება, ხოლო 25/09/2009 წლის ფორმა N2-ში განმეორებით არის ნაჩვენები იგივე სამუშაოს შესრულება, ამჯერად 1,241 ლარის ღირებულებით N11-8 პოზიციაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუროს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო წარმოედგინა შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

[2] არ იქნა დაცული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2009	2008
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		1	634
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		2,440,988	1,483,307
სავალუტო ანგარიში ბანკში	3	21,407	13,390
დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში		8,800	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	5,369,423	3,984,608
მოთხოვნები მივლინებით		1,205	1,640
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები		1,117	58,299
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		**7,842,941**	**5,541,878**
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		4,842,760	2,104,652
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		1,479,182	1,052,700
სხვა ძირითადი აქტივები		3,778,243	3,669,692
სხვა მატერიალური მარაგები		83,682	13,813
არაწარმოებული აქტივები		432,919	429,499
სულ არაფინანსური აქტივები		**10,616,786**	**7,270,356**
სულ აქტივები		**18,459,727**	**12,812,234**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	5	146,177	81,904
გადასახდელი მოგების გადასახადი		70,113	254,452
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		2,012	2,012
გადასახდელი დღგ		42,761	300,546
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		38,493	-
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		896	-
გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის		17,068	17,003
დამქირავებლის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები		9,691	9,691
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ		475	475
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		**327,686**	**666,083**
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		11,010,037	7,270,356
გაუნაწილებელი მოგება		7,122,004	4,875,795
სულ კაპიტალი		**18,132,041**	**12,146,151**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**18,459,727**	**12,812,234**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-	-	-
1.2 საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-	-	-
1.3 ძირითადი კაპიტალ. მოხმარება	-	-	-	-	-	-	-
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	3,837,801	3,837,801	3,837,801	3,837,801	3,837,801	3,837,801	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	**3,837,801**	**3,837,801**	**3,837,801**	**3,837,801**	**3,837,801**	**3,837,801**	**-**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	-	507,428	507,428	507,428	507,428
1.1.1 შენობა-ნაგებობები	-	406,510	406,510	406,510	406,510
არასაცხოვრებელი შენობები	-	406,510	406,510	406,510	406,510
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	100,918	100,918	100,918	100,918
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	100,918	100,918	100,918	100,918
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	510,000	507,428	507,428	507,428	507,428

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2008	**7,270,356**
სადებეტო ბრუნვა	
სუბსიდიები	(3,837,801)
სულ სადებეტო ბრუნვა	**(3,837,801)**
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	4,345,229
შემოსავლები	
გრანტები	2,671,309
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	
ძირითადი აქტივები	46,409
სულ საკრედიტო ბრუნვა	**7,062,947**
წმინდა ღირებულების ცვლილება	**3,225,146**
წმინდა ღირებულება 31/12/2009	**10,495,502**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 31/12/2008	1,497,331	-
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები		
შემოსავლები საკუთრებიდან	75,042	75,042
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	4,457,382	5,495,042
სანქციები, ჯარიმები, საურავები	256	256
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6,104	6,104
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	4,538,784	5,576,444
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(590,957)	(590,957)
საქონელი და მომსახურება	(202,733)	(267,006)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-
პროცენტი	(80)	(80)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(793,770)	(858,043)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	(236,955)	(236,955)
მატერიალური მარაგები	(749,982)	(749,982)
სულ არაფინანსური აქტივები	(986,937)	(986,937)
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(1,754,005)	(1,754,005)
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2009	2,501,403	

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

		მიღება			გასვლა		
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2008	შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	გრანტებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი 31/12/2009
ძირითადი აქტივები							
შენობა-ნაგებობები	**2,104,652**	**413,929**	**5,910**	**2,497,899**	**179,630**	**-**	**4,842,760**
საცხოვრებელი შენობები	2,104,652	413,929	5,910	2,497,899	179,630	-	4,842,760
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	**1,052,700**	**321,795**	**37,079**	**173,411**	**-**	**-**	**1,584,985**
სატრანსპორტო საშუალებები	123,064	49,989	37,079	-	-	-	210,132
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვეტარი	929,636	271,806	-	173,411	-	-	1,374,853
სხვა ძირითადი აქტივები	**3,669,692**	**2,748**	**-**	**-**	**-**	**-**	**3,672,440**
სხვა არამატერ. ძირითადი აქტივები	-	2,748	-	-	-	-	2,748
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	3,669,692	-	-	-	-	-	3,669,692
სულ ძირითადი აქტივები	**7,270,356**	**1,555,575**	**46,409**	**2,671,310**	**-**	**-**	**10,616,786**
მატერიალური მარაგები							
სხვა მატერიალური მარაგები	**13,813**	**819,850**	**-**	**-**	**-**	**749,982**	**83,682**
სულ მატერიალური მარაგები	**13,813**	**819,850**	**-**	**-**	**-**	**749,982**	**83,682**
ფასეულობები	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
არაწარმოებული აქტივები							
მიწა	**429,499**	**-**	**3,420**	**-**	**-**	**-**	**432,919**
სულ არაწარმოებული აქტივები	**429,499**	**-**	**3,420**	**-**	**-**	**-**	**432,919**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

92

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	**საკასო ხარჯები**	**ფაქტიური ხარჯები**
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: (20)	-	-	**99,484**	**99,484**	**99,484**	**99,484**
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ: 12	-	-	99,484	99,484	99,484	99,484
აქედან						
ა) პერსონალური სარგებლობის: 4	-	-	-	-	-	-
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის 11	-	-	-	-	-	-
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების: 5	-	-	-	-	-	-

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2009 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" 2004 წლის 4 ნოემბერს ჩამოყალიბდა. იგი შექმნილია სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ" საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2009 წლამდე ბიურო შედიოდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში. 2009 წლის 1 იავრიდან 2009 წლის 16 მარტამდე ბიურო ფუნქციონირებდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 31 დეკემბერს N267 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით და მას, როგორც მხარჯავი დაწესებულებას ბიუჯეტის კანონით მიენიჭა განცალკევებული ორგანიზაციული კოდი (46 00).

2009 წლის 16 მარტიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე ბიურო ფუნქციონირებდა, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 16 მარტის N46 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ერთადერთი სასამართლო ლაბორატორიაა ქვეყნის მასშტაბით, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საექსპერტო მომსახურებით. ბიურო საექსპერტიზო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მომსახურების ტარიფების მიხედვით.

ბიუროს საშტატო რიცხოვნებამ 2009 წელს წლიური საბიუჯეტო კანონით შეადგინა 317 ერთეული, საიდანაც 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავებული იყო 292 ერთეული, ხოლო ვაკანტური იყო 25 საშტატო ერთეული. ასეთ პირობებში 2009 წელს შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა რიცხოვნებამ 110 ერთეული შეადგინა.

ბიუროს უფროსს 2009 წლის თებერვლიდან ამავე წლის 2 სექტემბრამდე წარმოადგენდა გიორგი ცხაკაია. 2009 წლის 02 სექტემბრიდან უფროსის მოვალეობის ასრულებდა გიორგი ხიზანიშვილი, რომელიც 2010 წლის მარტიდან დაინიშნა ბიუროს უფროსად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ბიურო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბიურომ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 1 GEL	
	2009	2008
აშშ დოლარი USD	1.6858	1.6680
ევრო EUR	2.4195	2.3475
გირვანქა სტერლინგი GBP	2.6735	2.4123

3. სავალუტო ანგარიში ბანკში

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო ანგარიში ბანკში ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2009	2008
EUR	14,461	13,328
USD	4700	62
GBP	2,246	-
სულ ლარში	**21,407**	**13,390**

4. მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2009	2008
შინაგან საქმეთა სამინისტრო	4,392,664	3,117,239
ფინანსთა სამინისტრო	466,002	357,750
სასჯელაღსრულების სამინისტრო	222,812	214,701
თბილისის მერია	4,602	66,815
სხვა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	283,343	228,103
	5,369,423	**3,984,608**

5. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას შეემდეგნაირად:

	2009	2008
შპს ,,ჯიპისი"	82,450	81,408
ი/მ ლიანა ჭილაია	38,663	-
სს ,,თელასი"	8,334	-
შპს ,,ირაო"	8,263	-
სხვა ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	8,467	496
	146,177	**81,904**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.